სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

გ. ფანჯიკიძის ქ.N1ᵃ
0160, თბილისი, საქართველო
+995 32 2 200 220
info@emis.ge

09/12/2025

MES 4 25 0001752881

სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში „მართვის სისტემა“) 2025 წლის ანგარიში:

მართვის სისტემაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის იურისტი - პლატონ ფეიქრიშვილი, ხოლო მისი სამსახურში არყოფნის დროს - ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე - მარიამ იმედაძე.

მართვის სისტემაში წარმოდგენილ ყველა განაცხადზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება კანონმდებლობით დადგენილი წესითა და განსაზღვრულ ვადაში.

მართვის სისტემამ 2025 წლის განმავლობაში გასცა 116 (ასთექვსმეტი) საჯარო ინფორმაცია. ასევე, მართვის სისტემამ გასცა 41 (ორმოცდაერთი) პერსონალური მონაცემის შემცველი ინფორმაცია, ხოლო 2 (ორი) განცხადება პერსონალური მონაცემის გაცემის მოთხოვნის თაობაზე არ დაკმაყოფილდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მართვის სისტემა პერსონალური ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში ეყრდნობოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნებს.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე მართვის სისტემაში მოთხოვნა არ შემოსულა.

მართვის სისტემას კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია.

მართვის სისტემის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა. შესაბამისად, არ გვაქვს ინფორმაცია გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

პატივისცემით,

სისტემის უფროსი
ბერიძე დიმიტრი